ტერმინი	განმარტება	გამოსახულება
ამპუტაცია	სხეულის ნაწილის დაკარგვა, მაგალითად, ფეხის ან მკლავის.	
ართრიტი	ჯანმრთელობის პრობლემა, როდესაც ადამიანის სახსრები ხისტდება, შეშუპებულია ან/და გადაადგილება მტკივნეულია.	
მოტეხილობა (ძვლის)	სხეულის ძვლის მოტეხილობა ან გაბზარვა.	
დიაბეტი	დაავადება, რომლის დროსაც სისხლში შაქრის დონე მაღალია. ამან შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის მრავალი პრობლემა, მათ შორის: სხეულის ნაწილების (განსაკუთრებით ტერფების) შეგრძნების დაქვეითება და, შესაბამისად, ტერფის ჭრილობები, მხედველობის თანდათანობითი დაქვეითება, თირკმელების დაზიანება, შარდის უნებლიე გამოყოფა და მეხსიერების პრობლემები.	
ტერფის ჭრილობა	კანის დაზიანება ტერფის არეში. ტერფის ჭრილობები დიაბეტის და სხვა ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულებაა, რაც ამცირებს ტერფის მგრძნობელობას. თუ არ ჩატარდა მკურნალობა, დიაბეტური ტერფის ჭრილობამ შეიძლება ამპუტაციის საჭიროება გამოიწვიოს. ტერფის დიაბეტით გამოწვეულ ჭრილობებს ასევე უწოდებენ ტერფის წყლულებს.	
მყიფე/სიმყიფე	სუსტი, მყიფე და ენერგიისგან დაცლილი. ხშირად გამოწვეულია ადამიანის დაბერებით და ჯანმრთელობის დაქვეითებით.	
ხელის ფუნქცია	ხელის გამოყენების უნარი საქმიანობისას, მაგალითად, წერა, ნივთების ტარება, საჭმლის მომზადება, კერვა.	
დამბლა	სხეულის ნაწილის (ჩვეულებრივ, ფეხების ან ხელების) მოძრაობის უნარის დაკარგვა.	
პოლიომიელიტი	სერიოზული ინფექციური დაავადება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კუნთების დასუსტება ან დამბლა. ეს გავლენას მოახდენს პირის მობილობაზე ინფექციისგან განკურნების შემდეგაც კი.	
ფეხის ან ტერფის პროთეზი	ხელოვნური ფეხი ან ტერფი, რომელიც ცვლის ამპუტირებულ ფეხს ან ტერფს.	
ინსულტი	თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის ბლოკირება. ამან შეიძლება გამოიწვიოს სხეულის ერთი მხარის სისუსტე ან დამბლა, ასევე პრობლემები საუბრის, გრძნობის, აზროვნებისა და მხედველობის დროს.	

შესაფერისი ფეხსაცმელი	ფეხსაცმელი, რომლის შეძენაც შესაძლებელია ადგილობრივად, კარგად ერგება და აქვს ფუნქციები, რომლებიც იცავს ტერფებს და ამცირებს დაცემის რისკს.	
სამკურნალო ფეხსაცმელი	ფეხსაცმელი სპეციალური მახასიათებლებით, რომელიც უზრუნველყოფს გაძლიერებულ დამცავ და დამხმარე ფუნქციას ჭრილობის განვითარების რისკის ქვეშ მყოფი ტერფებისთვის.	
დატვირთვა ფეხზე	წონის ოდენობა, რომელიც ადამიანს შეუძლია გადაიტანოს ფეხ(ებ)ზე.	